



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### ლორთქიფანიძე ნუგზარ ლევანის ძე



#### ნ. ლორთქიფანიძე

ლორთქიფანიძე ნუგზარ (შალვა) ლევანის ძე (10. I. 1941, თბილისი, - 26. X. 2016, იქვე). რეჟისორი და პედაგოგი. კ. მარჯანიშვილის სახ. (1987) და საქართვე. სახელმწ. (2004) პრემიების ლაურეატი. 1967 დაამთავრა თეატრ. ინ-ტი დრამატული თეატრის რეჟისორის სპეციალობით. 1967-71 მუშაობდა რეჟისორად საქართვე. ტელევიზიაში. იყო თეატრ. გადაცემების წამყვანი, ტელევიზიის ლიტ.-დრამ. რედაქციისა და სატელევიზიო ჟურნალ „იავნანას“ რეჟისორი., 1971-75, 1983-96 - თეატრ. ინ-ტის პედაგოგი (მსახიობის ოსტატობის და რეჟისურის კათედრის დოცენტი, შემდეგ კი - პროფესორი). ლექციებს კითხულობდა კულტურის ინ-ტში. 1975-82 იყო თელავის თეატრის მთ. რეჟისორი, 1982-87 - კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინომსახიობთა თეატრის რეჟისორი; 1987-88, 1987-96 - საქართვე. თეატრის მოღვაწეთა კავშირის კონსულტანტი, შემდეგ - დრამ. თეატრების განყ-ბის გამგე, 1996-2005 - ქუთაისის აკადემიური და საოპერო თეატრების მთ. რეჟისორი.

საქართვე. სხვადასხვა ქალაქში დადგმული აქვს 60 მეტი სპექტაკლი, მ. შ. თბილისის საოპერო თეატრში - ზ. ფალიაშვილის „აბესალომი და ეთერი“; კინომსახიობთა თეატრში - „წუთისოფელი ასეა“ (კ. მარჯანიშვილის სახ. პრემია), შ. შამანაძის „ღია შუშაბანდი“; სოხუმის თეატრში - „ირმის უკანასკნელი ბლავილი“ (ო. მამფორიას ნოველის, ნ. აგიაშვილის „ჭაბუკები დარჩნენ მარად“, ლ. ასათიანის ლექსებისა და წერილების მიხედვით); გორის თეატრში - „ანა ფრანკის დღიური“ „სამეფო, ძველთა ძველო“ (ა. წერეთლის პოეზიაზე დაფუძნებული წარმოდგენა), რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ მერე

იქორწინეს“; თელავის თეატრში – ფ. გარსია ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი“, ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“, რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“; ქუთაისის თეატრში – რ. ნეშის „წვიმის გამყიდველი“, ე. დე ფილიპოს „ფილუმენა მარტურანო“, ი. სამსონაძის „აბეშურა“ (საქართვე. სახ. პრემია) და სხვ.; ქუთაისის საოპერო თეატრში – პ. მასკანის „სოფლის პატიოსნება“, მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“; თავისუფალ თეატრში – რ. ნეშის „წვიმის გამყიდველი“; გრიბოედოვის თეატრში – ა. ოსტროვსკის „უკანასკნელი სიყვარული“, ი. ტურგენევის „მდგმური“ და სხვ. დადგა სპექტაკლები კიშინიოვის, ონეცკისა და ხარკოვის თეატრებში.

არის შემდეგი პიესების ავტორი: „დალაქი“, „სამეფო, ძველთა ძველო/ გუშინწინ, გუშინ, დღეს“, „წუთისოფელი ასეა“, „თქვენო აღმატებულებავ“, „სიყვარული ძნელია“, „კბილის ექიმის თავგადასავალი“. მიღებული აქვს ა. წერეთლისა და ს. ახმეტელის პრემიები. ფესტივალზე „თეატრალური იმერეთი“ ლ-ის სპექტაკლს „სამეფო ძველთა ძველო“ გადაეცა გრან-პრი (2003); არაერთი ადგილ. და საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის მონაწილე და ჟიურის წევრი.

---